საქართველო

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

N 27 2

12/02/2020

„ვანის მუნიციპალიტეტში 2020-2021 წლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 ნოემბრის N27 49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 1 ნოემბრის №514 დადგენილების მე-2 მუხლის საფუძველზე, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „ვანის მუნიციპალიტეტში 2020-2021 წლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 ნოემბრის N27 49 განკარგულებაში და განკარგულების დანართს დაემატოს ხანძრის შედეგების სალიკვიდაციო ინფრასტრუქტურული პროექტი (დანართის შესაბამისად):

„ა) ხანძრის შედეგად დაზიანებული ვანის სპორტული სკოლის შენობის აღდგენითი სამუშაოები - 484108 ლარი.“

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა.

3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერის დღიდან.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში, სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ. სამტრედია. ძმები ნინუების ქუჩა N1).

ალექსანდრე ლილუაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე